

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მთავარი (ვადიანი) მეცნიერი თანამშრომლის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მეცნიერი თანამშრომლის ასარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

**1. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს,** თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს საკონკურსო კომისია და შედეგებს ამტკიცებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

**2. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მთავარ (ვადიან) მეცნიერ თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და მეცნიერ-თანამშრომლად** შეიძლება აირჩეს პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-5 მუხლით.

**3. კონკურსი ცხადდება შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:**

**3.1. სტრატეგრაფიისა და პალეონტოლოგიის განყოფილების მთავარი (ვადიანი) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე - 1 საშტატო ერთეული (სრული);**

**3.2. გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე - 1 საშტატო ერთეული (სრული).**

**3.3. გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე - 1 საშტატო ერთეული (სრული).**

**40. სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის პირობები:**

**4.1. ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც უპასუხებს ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წა-**

ყენებულ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 7 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 1 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

**სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია**

(რიგითი ნომრის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის სახეობა მოცემულია რანჟირებულად, რეიტინგის კლებით)

| N | სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობა   |
|---|---|
| 1 | <ul style="list-style-type: none"> <li>- მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal &amp; Country Rank, ResearchGate-ის და Google Scholar-ის მიერ;</li> <li>- იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის და Google Scholar-ის მიერ;</li> </ul> |
| 2 | <ul style="list-style-type: none"> <li>- სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal &amp; Country Rank, ResearchGate და Google Scholar-ის მიერ;</li> </ul>   |

|   |  |
|---|--|
|   | – სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;  |
| 3 | – რეგენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; |
|   | – სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში;  |
|   | – სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.  |
| 4 | – საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;   |
|   | – საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ  |

*შენიშვნა: მაღალრეიტინგული გულისხმობს, რომ შესაბამისი სამეცნიერო პროდუქტი ასახულია ან ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google Scholar -ის ბაზაში.*

## 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

5.1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს შესაბამის საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის #63/2017 დადგენილება, დანართი 2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

ე) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ);

ვ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი ან სხვ.).

ზ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“; 32 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართავა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

5.2. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

5.3. საკონკურსო კომისია ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობის მსურველს ეძლევა განაცხადის განმეორებით წარმოდგენის ვადა, მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო განცხადებების/დოკუმენტაციის/მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღისა.

5.4. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ 5.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

6. კონკურსი გამოცხადდეს 2023 წლის 27 თებერვალს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2023 წლის 28 მარტიდან 2023 წლის 4 აპრილის ჩათვლით, 11:00-დან 16:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ. №31, ოთახი №101. კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ რექტორს გადაეცეს არაუგვიანეს 2023 წლის 19 აპრილისა.

7. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა კონკურსში გამოვლენილმა პირმა დაიკავოს კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ, არაუადრეს 2023 წლის 19 აპრილისა.